განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

8 მაისი, 2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204426834
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფსიქოლოგიის ბაკალავრი 0313
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლილი ხეჩუაშვილი - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ფირცხალავა - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სალომე წულუკიძე - კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

სარჩევი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 4

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 6

1.1. პროგრამის მიზნები 6

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები 7

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა10

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები 10

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი 11

2.3. სასწავლო კურსი 12

2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება 13

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები 15

2.6. სტუდენტების შეფასება 16

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 18

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება 18

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა 20

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 20

4.1. ადამიანური რესურსი 21

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება 23

4.3. მატერიალური რესურსი 24

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა 25

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 26

5.1. შიდა ხარისხის შეფასება 27

5.2. გარე ხარისხის შეფასება 29

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება 29

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა 31

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მიმართულიათანამედროვე თეორიული და პრაქტიკული ცოდნის, საფეხურის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების მქონე ისეთი კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებიც შეძლებენ ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფლებას, პრაქტიკულ საქმიანობაში საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებასა და კარიერულ წინსვლას. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამა 240 კრედიტის ფარგლებში (8 სემესტრი) ფსიქოლოგიის ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადების შესაძლებლობას იძლევა, რომელიც ფლობს თანამედროვე ცოდნას და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამის პრაქტიკულ უნარებს აღნიშნული მახასიათებლით პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოდის უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, მათ შორის არის(ა) საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები (18 კრედიტი), (ბ) ინგლისური ენის კომპონენტი (24 კრედიტი), (გ) ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები (136 კრედიტი) და (დ) საუნივერსიტეტო არჩევითი, სპეციალობისა და არასპეციალობის არჩევითი საგნების კომბინაცია (62 კრედიტი). აღნიშნული სტრუქტურა, როგორც მასში შემავალი კომპონენტების, ისე კურსებისა და კრედიტების გადანაწილების თვალსაზრისით, პრაქტიკულად შეესაბამება და აკმაყოფილების მინისტრის ბრძანების (N69/ნ) მოთხოვნებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ქვეყანაში კორონავირუსის გამო გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ საბაკალავრო პროგრამის „ფსიქოლოგია“ შეფასება 2020 წლის 3 აპრილს დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების, კერძოდ, Zoom-ის პროგრამის გამოყენებით განხორციელდა.

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტები, წინასწარ შემუშავებული და დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის შესატყვისად, გაესაუბრნენ უნივერსიტეტის პერსონალს: უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, საბაკალავრო საფეხურის მომიჯნავე სპეციალობის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ბიბლიოთეკარსა და პოტენციურ დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა, ბიბლიოთეკარის დახმარებით, ნახა, როგორ მუშაობს უსდ-ის ელექტრონული ბიბლიოთეკა.

აკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში. ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული. დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრები დროულად, შეფერხებების გარეშე გაიმართა. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საბაკალავრო პროგრამა „ფსიქოლოგია“ ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით ჩამოთვლილ მოთხოვნებს და სრულ შესაბამისობაშია I, II, III, IV და V სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

4.1. ადამიანური რესურსი

- პროგრამის განმახორციელებელი აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რაც პროგრამის მდგრადობის კარგ საფუძველს შექმნის;
- დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტების ჩართვა პროგრამის განხორციელებაში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

4.1. ადამიანური რესურსი

- პროგრამაში ჩართულ არჩევით (უფრო პრაქტიკულ, სპეციალიზაციის) კურსებისთვის ისეთი ადამიანური რესურსის მობილიზება მოწვეული სპეციალისტების სახით, რომელსაც დიდი პრაქტიკული გამოცდილება აქვს მოცემულ სფეროში და აქტიური, მოქმედი პრაქტიკოსია დღესდღეობითაც.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1.პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები (თანამედროვე თეორიული და პრაქტიკული ცოდნის, საფეხურის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების მქონე ისეთი კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფლებას, პრაქტიკულ საქმიანობაში საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებასა და კარიერულ წინსვლას)სრულად ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის ის მიმართული. პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაეცნონ ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, არსსა და სხვადასხვა ქვედარგს, გამოიმუშაონ კვლევის, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისა და ქართულ და ინგლისურ ენაზე პროფესიული კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, ჩამოიყალიბონ პროფესიული საქმიანობისას ეთიკის ნორმების დაცვის, ღირებულებების ფორმირებაში მონაწილეობასა და მათ დამკვიდრებაში მონაწილეობისთვის საჭირო პასუხისმგებლობა. კურსდამთავრებულებს პრაქტიკული საქმიანობის ფართო არჩევანი აქვთ, მათი სამუშაო ადგილი, რომლისთვისაც დამაკმაყოფილებელი იქნება ფსიქოლოგის ბაკალავრის აკადემიური ხარიხსი, შეიძლება იყოს ისეთი სფეროები, როგორებიცაა განათლება, ჯანდაცვა, სოციალური მომსახურება და მართვა, კერძოდ: • სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება; • ადრეული განათლების ცენტრი; • ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა; • სამედიცინო დაწესებულება; • მენტალური ჯანმრთელობის ცენტრი; • ფსიქო-სოციალური და ფიზიკური რებილიტაციის ცენტრი; • საკონსულტაციო დიაგნოსტიკურ ცენტრი;

- ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი;
- ბავშვთა და მოზარდთა აბილიტაციის ცენტრი;
- კვლევითი დაწესებულება;
- ტრენინგ-ცენტრი;
- განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი;
- სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაცია ადამიანური კაპიტალის მართვის მიმართულებით;
- არასამთავრობო ორგანიზაციაში სოციალური პროექტების მიმართულებით.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის მისიას – ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების პრინციპებზე დაყრდნობით, კულტურათა და თაობათა დაახლოებისა და საზოგადოების განვითარების მიზნით, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე უზრუნველყოს სწავლა, სწავლება და კვლევა ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის მისია;
- ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დებულება;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- ვებგვერდი;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედ. პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

1.2.პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად

საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსა და პასუხისმგებლობას, რასაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. აღწერილი სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება დონის აღმწერებს. ვინაიდან ეს საბაკალავრო პროგრამაა, მასში დაბალანსებულად არის თეორიული ცოდნის, კვლევის პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და ავტონომიურობის კომპეტენციები, კერძოდ: (ა) კურსდამთავრებულს ეცოდინება ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების ამოცანები, ისტორია, ძირითადი მიმართულებები, კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები და ფსიქოლოგიის ადგილი მულტიდისციპლინურ კონტექსტში; (ბ) კურსდამთავრებული შეძლებს ინდივიდის ფსიქიკური პროცესების, ქცევების და მისი მოტივებისა და განწყობების შეფასება-ანალიზს თეორიულ მიდგომებზე დაყრდნობით; ფსიქოლოგიური პრობლემების ამოცნობას, პრობლემების მიზეზებსა და შედეგებს შორის კავშირის დადგენას და პრევენციული და ინტერვენციული მიდგომების შერჩევას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. ასევე, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად მცირე მასშტაბის კვლევის დაგეგმვასა და ჩატარებას კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვით; შედეგების ანალიზსა და რეკომენდაციების შემუშავებას. (გ) კურსდამთავრებული დამოუკიდებლად განსაზღვრავს ფსიქოლოგიის სფეროში შემდგომი სწავლისა და/ან მიღებული ცოდნის გაღრმავების საჭიროებებს და მიიღებს გადაწყვეტილებებს არაპროგნოზირებად გარემოში გაუთვალისწინებელი პირობების საპასუხოდ. იგი შეძლებს პასუხისმგებლობის აღებას ისეთ ქცევებზე, როგორებიცაა პროფესიული ეთიკის ნორმების პრაქტიკაში გამოიყენება და წახალისება; ეთიკური კვლევის ძირითადი ღირებულებებისა და აკადემიური პატიოსნების დაცვა, საკუთარი წინააღმდეგობრივი მოსაზრების კორექტულად გამოხატვა, განსხვავებული აზრის მიმართ ტოლერანტობისა და პატივისცემის გამოვლენა; ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა, კოლეგების მხარდაჭერა, განსხვავებული შესაძლებლობების/საჭიროებების მქონე პირებისადმი ინდივიდუალურ მიდგომა. წარმოდგენილი პროგრამა მოიცავს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს, რომელიც შეესაბამება სტუდენტების სწავლის შეფასების მიღწევის უსდ-ის მიერ შემუშავებულ მექანიზმებს და ითვალისწინებს აკადემიური მოსწრების ანალიზს, გამოკითხვასა და სტატისტიკური მონაცემების გამოყეებას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისა და სამიზნე ნიშნულების დაგეგმვის პროცესისას გათვალისწინებულია პროგრამის სწავლის შედეგები და მათი მიღწევის პრაქტიკული შესაძლებლობის უზრუნველმყოფი სასწავლო დისციპლინები. პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულებად მიჩნეულია ECTS-ის შეფასების სკალა, რომლის მიხედვით იმ სტუდენტებისთვის, რომლებისთვისაც სწავლის შედეგის საბოლოო შეფასება არის დადებითი, 10% იღებს A შეფასებას, მომდევნო 25% - B შეფასებას, შემდეგი 30% - C-ს, შემდეგი 25% - D-ს, და ბოლო 10% კი - E-ს. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონე უმჯობესდება ყველა იმ შემთხვევაში, თუ შეფასების პროცენტული სიდიდე შეფასების დაბალ

კატეგორიაში მცირდება და ამავდროულად, შეფასების მაღალ კატეგორიაში იზრდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; • მომიჯნავე სპეციალობის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კითხვარები; • ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები და შეფასების გეგმა; • თვითშეფასების ანგარიში; • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენება; • უსდ-ის ვებგვერდი; • პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, დადგენილი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე. ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე. მიღების წინაპირობების გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია იმით, რომ ინფორმაცია ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის უსდ-ის ვებგვერდზე და ასახულია საგანმანათლებლო პროგრამის აღწერაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა; • უსდ-ის ვებგვერდი; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება • პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილადშესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით და შეესაბამება უნივერსიტეტის სტანდარტსა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს,8 სემესტრს.

240კრედიტიანი პროგრამა შედგება (ა) საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები (18 კრედიტი), (ბ) ინგლისური ენის კომპონენტი (24 კრედიტი), (გ) ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები (136 კრედიტი) და (დ) საუნივერსიტეტო არჩევითი, სპეციალობისა და არასპეციალობის არჩევითი საგნების კომბინაცია (62 კრედიტი). აღნიშნული სტრუქტურა, როგორც მასში შემავალი კომპონენტების, ისე კურსებისა და კრედიტების გადანაწილების თვალსაზრისით, პრაქტიკულად შეესაბამება და აკმაყოფილების მინისტრის ბრძანების (N69/ნ) მოთხოვნებს.

სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტებითანმიმდევრულად და ლოგიკურად არის წარმოდგენილი. პროგრამაში შემავალ ზოგიერთ კურსზე არსებობს დაშვების წინაპირობები, რაც ითვალისწინებს პროგრამაში შემავალი სხვა კურსის/კურსების გავლას.

პროგრამის ფარგლებში, სავალდებულო კურსებთან ერთად, შეთავაზებულია არჩევითი კურსები, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს საკუთარი ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად გაიღრმავოს პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული კომპეტენციები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს თავისუფალი კომპონენტის სახით შეიძლება ეღიაროს სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს დარგის უახლეს მიღწევებს. კერძოდ, თითოეული კურსის ფარგლებში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა დარგში არსებულ უახლეს კვლევებსა და წყაროებს ეყრდნობა.

წინაპირობების არსებობა წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის პროგრამის აღწერიდან,

რომელიც გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. თითოეული კურსისთვის მოთხოვნილი წინაპირობები მითითებულია შესაბამისი კურსის სილაბუსში, რომელიც განთავსებულია უსდ-ის შიდა მოხმარების ელექტრონულ სისტემაში.სისტემავე უზრუნველყოფს კურსების არჩევითობის შეზღუდვას წინაპირობების გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; • პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, ფაქტობრივად,შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებსა და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან და შესაბამის საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად არსებობს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც დეტალურად აღწერს, პროგრამის რომელ სწავლის შედეგ(ებ)ზე გადის ესა თუ ის მოდული და თითოეულ მოდულში შემავალი ცალკეული კურსი.

თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განსაზღვრულია კრედიტებით და 6 კრედიტს შეადგენს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრისას გათვალისწინებულია კურსის შინაარსი, კურსის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებების მოცულობა და შინაარსი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ

სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმებიდამაკმაყოფილებლად აფასებენ კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს. კურსის სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სავალდებულო და დამხმარე რესურსები და ლიტერატურა. კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურახელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე და სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის საშუალებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონული ბაზებზე ხელმისაწვდომობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ფსიქოლოგიის საბაკალავროპროგრამა; • პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები; • ბიბლიოთეკის ონლაინ დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება; • უნივერსიტეტის ვებგვერდი; • პროგრამის განმახორციელებლ პერსონალთან და ხელმძღვანელებთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა, სწავლისშედეგებისშესაბამისად, უზრუნველყოფსსტუდენტთაპრაქტიკულიდა კვლევითიუნარებისგანვითარებას. პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტის **კვლევითი უნარების** განვითარებას ისეთი კურსების

ფარგლებში, როგორებიცაა კვლევის მეთოდები, ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, შესავალი სტატისტიკურ ანალიზში SPSS-ის გამოყენებით, ფსიქომეტრიის შესავალი, ფსიქოლოგიური შეფასებისა და ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები და საბაკალავრო ნაშრომი. კონკრეტული კვლევის ფარგლებში თითოეულ სტუდენტს უწევს შესაბამისი კვლევის დაგეგმვა, მონაცემთა შეგროვება, დამუშავება, ანალიზი და ინტერპრეტაცია და კვლევითი ანგარიშის დაწერა შესაბამისი კურსების სწავლების სემესტრსა და სწავლების მერვე სემესტრში, როდესაც სტუდენტები მუშაობენ საბაკალავრო კვლევებზე. ყველა ამ კვლევით კომპონენტში სტუდენტებს სუპერვიზიას/ხელმძღვანელობას უწევენ ფსიქოლოგიის დარგში წამყვანი სპეციალისტები, რომლებიც პროგრამასა და თითოეული კურსის სილაბუსში განსაზღვრული წესით აფასებენ სტუდენტების კვლევითი საქმიანობას.

პრაქტიკის კომპონენტი გათვალისწინებულია პროგრამაში შემავალი ფართო სპექტრის ისეთი არჩევითი სასწავლო კურსების სახით, როგორებიცაა ფსიქოლოგიური კონსულტირების საფუძვლები, პერსონალის შერჩევა, გეშტალტთერაპიის შესავალი, ქცევის მართვა სკოლაში, ნეიროლონგვისტური პროგრამირების საბაზისო ტექნოლოგიები, ტრენინგის ჩატარების მეთოდოლოგია, პროექტების მართვა ფსიქოლოგებისათვის, პროფესიული პრაქტიკა, რომლის მიზანია მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში ოპერაციონალიზაცია, რეალურ სამუშაო გარემოში ათვისებული ცოდნის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების კომბინირება და იმ პრაქტიკული უნარების გამომუშავება, რომლებიც შეუძლებელია მხოლოდ თეორიული სწავლებით. პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტი მენტორის/სუპერვაიზორის ზედამხედველობის ქვეშ დამოუკიდებლად ასრულებს სხვადასხვა დავალებას და მასზე პასუხისმგებელი იქნება როგორც პრაქტიკის ხელმძღვანელი უსდ-დან, ისე მიმღები ორგანიზაციის კომპეტენტური წარმომადგენელი.

საბაკალავრო ნაშრომს სტუდენტი საკუთარი ინტერესებისა და პროგრამის პედაგოგების მიერ შეთავაზებული ქვეყნისთვის აქტუალური საკვლევი თემების შეჯერების საფუძველზე ირჩევს. ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს) სტუდენტი პედაგოგის საქმიანობის სფეროს საკუთარ კვლევის ინტერესთან შესაბამისობისა და საკუთარი ინტერესების მიხედვით ირჩევს.

თითოეული სტუდენტი თავის ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს), საბაკალავრო ნაშრომის მომზადების პროცესში, ხვდება რეგულარულად, რათა სტუდენტს ჰქონდეს კვლევის დინამიკაზე ანგარიშგების შესაძლებლობა, ხოლო პედაგოგს -- სათანადო კონსულტირების საშუალება.

რაც შეეხება **ტრანსფერულ უნარებს** (პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა), შეუძლებელია რომელიმე ცალკეული კურსის დაახელება, რომლის ფარგლებშიც მუშავდება აღნიშნული უნარები. პროგრამაში შემავალ პრაქტიკულად ყველა კურსს, საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით, თავისი წვლილი შეაქვს მათ განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა და მასში შემავალი კურსების სილაბუსები;
- პრაქტიკის უზრუნველმყოფ ორგანიზაციებთან გამფორმებული მემორანდუმები
- პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ პერსონალთან და პრაქტიკის

განმახორციელებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში სწავლება ხორციელდება ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკული მუშაობის ფორმატში ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც ავსებს ერთმანეთს და სტუდენტი/ლექტორი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევამდე მიჰყავს, კერძოდ, პროგრამაში შემავალ კურსებში გამოყენებულია სწავლების ინტერაქტიული მეთოდები, როგორებიცაა პრაქტიკაზედაფუძნებული სწავლება, ლექცია, სემინარი, დისკუსია და დებატები, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მეთოდები, შემთხვევის ანალიზი, პრეზენტაცია, უკუკავშირის მეთოდები, პრაქტიკული მუშაობა, კეთებით სწავლება და შემთხვევების ანალიზი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ ეტაპზე შეუძლებელია გამოყენებული მეთოდების ეფექტურობისა და უკუკავშირის შესახებ მსჯელობა, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ახალია და ჯერ სტუდენტი/კურსდამთავრებული არ ჰყოლია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანამანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • საგანამანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების წესი; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება
☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ განხორციელებული აქტივობების შეფასება მრავალ კომპონენტიანია და თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას უზრუნველყოფს, რაც კონკრეტული, გაზომვადი რუბრიკების გამოყენებით მიიღწევა. შეფასება ეფუძნება ისეთ პრინციპებს, როგორიცაა, ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდობა და გამჭვირვალობა; ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით, რომლიდანაც შუალედური (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) შეფასების წილი 70 ქულას, ხოლო დასკვნითი შეფასების წილი -- 30 ქულას შეადგენს. სტუდენტების შეფასებისას გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები. სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სასწავლო კურსებში სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე, 30%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 10ქულა. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. სილაბუსების შეფასების ნაწილში განსაზღვრულია ის ძირითადი შეფასების მეთოდები, რომლებიც გამოიყენება პროგრამის კომპონენტის/კურსის ფარგლებში. სწავლის შედეგების გასაზომად ცალკეული კურსის ფარგლებში შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი რუბრიკები, რაც მეტწილად უზრუნველყოფს კურსის მიზნებითა და სწავლის შედეგებით განსაზღვრული სწავლის მიღწევების შეფასებას როგორც პროგრამის თითოეული კურსის, ასევე,თითოეული კომპონენტის ფარგლებში.პრაქტიკულ სწავლებაზე ორიენტირებული სასწავლო კურსების შეფასების კომპონენტები მორგებულია კურსის სპეციფიკაზე. კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და

რუბრიკები წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის. სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილი შეფასების სისტემის გაცნობას ლექტორი დამატებით ახორციელებს პირველივე ლექციაზე. უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების თანასწორი და სამართლიანი სისტემა და შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას, საფუძვლიანი ეჭვისა და შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულის გასაჩივრების სურვილის შემთხვევაში, მოითხოვოს ნაშრომის კიდევ ერთხელ გასწორება. ამისათვის მან უნდა წარადგინონ განცხადება, სადაც არგუმენტირებულად უნდა დაასაბუთონ ნაშრომის ხელახლა გასწორების საჭიროება. სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სანდოობა უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების პროცესში პროგრამის განხორციელებაში ჩართული მხარეების მონაწილეობით. კერძოდ, სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მონაწილეობს კურსის ხელმძღვანელი, საბაკალავრო ნაშრომის შეფასების პროცესში ჩართულია ნაშრომის ხელმძღვანელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და მასში შემავალი კურსების სილაბუსები; • სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • პროგრამის ხელძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების	✓			

შეფასების ადეკვატურობა				

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები დროულად იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მოსწრების შესახებ. უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ წვდომა უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, ასევე უნივერსიტეტის მიერ მინიჭებულ ელექტრონულ ფოსტაზე და ელექტრონულ პლატფორმაზე, სადაც ისინი იღებენ ინფორმაციას ყველა არსებულ სიახლესთან დაკავშირებით ტრეინინგების, ვორქშოპების, ვაკანსიებისა და სტაჟირების შესაძებლობების შესახებ. გარდა ამისა, აღნიშნული პლატფორმის საშუალებით სტუდენტებს აქვთ წვდომა თავიანთ სასწავლო კურსების ქულების და სილაბუსების შესახებ.

სასწავლო წლის დასაწყისში სტუდენტებისთვის იმართება საორიენტაციო შეხვედრა, გარდა ამისა სტუდენტები მარტივი პროცედურების შედეგად ირჩევენ საგნებს. საგნების არჩევის დროს, სტუდენტები ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ირჩევენ საჭირო საგნებს სასწავლო სემესტრის მიხედვით. გარდა ამისა, როგორც გამოკითხვის დროს უნივერსიტეტის სტუდენტებმა დაადასტურეს, სტუდენტებისთვის ეწყობა ინდივიდუალური საკონსულტაციო საათები. სტუდენტები იღებენ ინფორმაციას კრედიტების დაგროვების, შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების, არჩევითი და სავალდებულო საგნების, შესახებ. პერიოდულად სტუდენტები ავსებენ კმაყოფილების კითხვარს, სადაც შეუძლიათ საკუთარი აზრის დაფიქსირება და კმაყოფილების ან უკმაყოფილების გამოხატვა. უკმაყოფილების არსებობის შემთხვევაში, სტუდენტების თქმით, ადმინისტრაცია მზადაა პრობლემა მოაგვაროს.

როგორც ინტერვიუს დროს გამოკითხული სტუდენტები აღნიშნავენ, უნივერსიტეტში არსებობს კარიერული ზრდისა და ხელშეწყობის დეპარტამენტი, რომლის ეფექტურობასაც ხაზს უსვამენ სტუდენტები. კურსდამთავრებულები ადასტურებენ, რომ დეპარტამენტი მათ დროულად აწვდის ინფორმაციას როგორც ვაკანსიებთან, ასევე ტრენინგებთან და დასაქმების ფორუმებთან დაკავშირებით. აღნიშნული დეპარტამენტი სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას ვაკანსიებისა და

ტრეინინგების შესახებ. როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, აღნიშნულმა დეპარტამენტმა მოაწყო 6 დღიანი ტრენინგ კურსი, სადაც მოწვეულნი იყვნენ მსხვილი კომპანიების ადამიანური რესურსების დეპარტამენტის წარმომადგენლები. სტუდენტების თქმით, აღნიშნული ტრენინგები მათ დაეხმარა CV-ს უკეთ წერაში. ასევე ხშირია დეპარტამენტის მხრიდან სტუდენტებისთვის გაცემული რეკომენდაციები კარიერის მოწყობასთან დაკავშირებით.

სტუდენტები ჩართულნი არიან არასალექციო სახის აქტივობებშიც, რომელთა შესახებ ინფორმაციას აქტიურად იღებენ ელექტრონული ფოსტის, სოციალური ქსელებისა და უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით. უნივერსიტეტში იმართება სხვადასხვა შინაარსის საჯარო ლექციები და ტრეინინგები, რაშიც სტუდენტებს მონაწილეობის მიღება შეუძლიათ უფასოდ. ამასთანავე, სტუდენტებს ინფორმაცია აქვთ საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლითი პროგრამების შესახებ. ინტერვიუზე მყოფი ერთ-ერთი სტუდენტი გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდა პოლონეთში, 2017 წელს, სადაც დაესწრო 1 კვირიან კონფერენციას. გარდა ამისა, სტუდენტები აღნიშნავენ, რომ რამდენიმე სტუდენტი ამჟამადაც იმყოფება გაცვლითი პროგრამით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

სტუდენტებს უტარდებათ შუალედური და ფინალური გამოცდები. აღნიშნულ გამოცდებზე მიღებული ქულის გასაჩივრების სურვილის შემთხვევაში, სტუდენტებს შეუძლიათ მოითხოვონ ნაშრომის კიდევ ერთხელ გასწორება, თუმცა მათ უნდა წარადგინონ განცხადება, სადაც არგუმენტირებულად უნდა დაასაბუთონ ნშრომის კიდევ ერთხელ გასწორების საჭიროება.

სტუდენტები და კურსდამთავრებულები ადასტურებენ, რომ უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს აქვს წვდომა უნივერსიტეტის როგორც ბეჭდურ ასევე ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამაში ჩართული პერსონალის საკონსულტაციო განრიგი;
- საბაკალავრო პროგრამაში ჩართული პერსონალის ხელშეკრულებები;
- უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების/ცალკეული პერსონალის სამუშაოს აღწერილობები;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- უსდ-ის ვებგვერდი;
- სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, კარიერული განვითარებისა და დასაქმების სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას განახორციელებს სათანადო კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები, რომელთა ნაწილი ფლობს როგორც შესაბამის აკადემიურ ხარისხს, ისე ფართო მეცნიერული და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებას, რაც დასტურდება პირად საქმეებში წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევების, პუბლიკაციებისა და პრაქტიკული პროექტების ჩამონათვალით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ასახულია უსდ-ის შინაგანაწესში.

პროგრამის აკადემიური პერსონალით დაკომპლექტება მოხდა გასული წლის გაზაფხულზე გამოცხადებული ღია კონკურსის საფუძველზე, ხოლო მოწვეული ლექტორების შერჩევა მოხდა კონკურსის გარეშე, პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე.

წარმოდგენილ პროგრამას განახორციელებს 7 აფილირებული (მათ შორის, 3 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენ პროფესორი) და 2 არააფილირებული (მათ შორის, 1 ასოცირებული და 1 ასისტენტ) პროფესორი, ასევე, 7 ასისტენტიდა 23მოწვეული პედაგოგი.

აკადემიური პერსონალის დატვირთვა ასახავს საქმიანობის რამდენიმე ასპექტს, ესენია: სწავლება, სწავლების მეთოდებისა და კურიკულუმის განვითარება, პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა.

სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა (ერთ აფილირებულ აკადემიურ პერსონალზე მოდის 2 პირველკურსელი სტუდენტი, ხოლო ერთ მოწვეულ ლექტორზე, საშუალოდ, მოვა 4 სტუდენტი, როდესაც პროგრამა სრულად ამუშავდება) და, ასევე,თანაფარდობა უსდ-ის აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ ლექტორებს შორის, უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, მიზნების მიღწევასა და სტუდენტებთან ინდივიდუალურ მიდგომას.

აღნიშნულ საბაკალავრო პროგრამაზე პოტენციურ სტუდენტთ არაოდენობა თავდაპირველად მაქსიმუმ 15 სტუდენტია. შესაბამისად, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თეორიული თუ პრაქტიკული პროექტების განხორციელებას. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია უზრუნველყოფს სასწავლო

პროცესის ხარისხიან განხორციელებას.
უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროგრამის მარეგულირებელი დებულების თანახმად, საგანმამათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროგრამის შესაბამის დარგში დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ან/და პროფესიული/ პრაქტიკული გამოცდილების მქოდე პირი. შესაბამისად, პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია შესაბამისი აკადემიური ხარისხი და პედაგოგიური და პრაქტიკული მოღვაწეობის გამოცდილება ფსიქოლოგიის მიმართულებით, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელი არ არის უსდ-ის აფილირებული პერსონალი, რასთან დაკავშირებითაც უსდ-ისადმინისტრაციამ არგუმენტირებული პოზიცია დააფიქსირა ვიზიტის მსვლელობისას, კერძოდ აღნიშნა, რომ, უსდ-ის პოლიტიკისა და ხედვის შესაბამისად, ამჯობინებენ,
რომ უსდ-მ ჯერ რეალურად შესთავაზოს საკუთარი მხარდაჭერა, სამუშაო პირობები და განვითარების შესაძლებლობები აკადემიურ პერსონალს, რომელსაც ექნება მოტივაცია და ყველა პირობა იმისა, რომ უსდ-სთან ასოცირდეს საკუთარი პროფესიული საქმიანობით, გაუჩნდეს დაწესებულებისადმი მიკუთვნებულობის განცდა და მხოლოდ ამის შემდეგ დადოს მასთან აფილირების ხელშეკრულება.
წარმოდგენილი პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, უმეტესწილად, ახალგაზრდა მეცნიერთა თაობის წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული, რაც უსდ-ის გაცხადებული პოლიტიკაა და გამოიკვეთა ინტერვიუების დროსაც ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. აღნიშნული პერსონალის უმრავლესობას ჯერ არ აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი, მაგრამ თითქმის ყველა მათგანი არის სადოქტორო სწავლების ბოლო ეტაპზე და უახლოეს მომავალში მიიღებენ შესაბამის ხარისხს. აღნიშნული ვითარება მოცემული პროგრამის სუსტი მხარეც არის და ძლიერიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმები;
- შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშები;
- პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება;
- უსდ-ის სტრუქტურული ერთეულების/ცალკეული პერსონალის სამუშაოს აღწერილობები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;
- უსდ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია:

- პროგრამის განმახორციელებელი აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რაც პროგრამის მდგრადობის კარგ საფუძველს შექმნის;
- დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტების ჩართვა პროგრამის განხორციელებაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): • პროგრამაში ჩართულ არჩევით (უფრო პრაქტიკულ, სპეციალიზაციის) კურსებისთვის ისეთი ადამიანური რესურსის მობილიზება მოწვეული სპეციალისტების სახით, რომელსაც დიდი პრაქტიკული გამოცდილება აქვს მოცემულ სფეროში და აქტიური, მოქმედი პრაქტიკოსია დღესდღეობითაც.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს შემუშავებული და დეტალურად აქვს გაწერილი პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და მიღებული შედეგების ანალიზის პროცედურები, კრიტერიუმები, განვითარების პროგრამის დაგეგმვის სტრატეგია და პერსონალის დაწინაურება-წახალისების მექანიზმები და ფორმები. რაც შეეხება აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარებას, ამ მიზნით სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებს პროფესიული და/ან სწავლების უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა: ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით გამართული ტრენინგები, დაფინანსება სამუშაო მივლინებებისათვის და კონფერენციებისთვის, ასევე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისათვის ფაკულტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია გარკვეული დაფინანსება. უნივერსიტეტში არსებული პროფესიული განვითარების ცენტრი, ატარებს ტრენინგების საჭიროების ანალიზს და მის საფუძველზე გეგმავს ტრენინგების ჩატარებას თანამშორმლებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების წესი; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული

ღონისძიებები;

- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესი;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების ანგარიში;
- უსდ-ის ვებგვერდი;
- უსდ-ის ადმინისტრაციასთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებლთან და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.3. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის, მათ შორის, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მომავალი სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, კომპიუტერული კლასები, უფასო ინტერნეტი უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე, ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით, ელექტრონული და ბეჭდური წიგნების ფონდით და შესაბამისი ელექტრონული ბაზით, ელექტრონული კატალოგით.

უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული შენობა - ნაგებობები პასუხობს უმაღლესი სასწავლებლისთვის დადგენილ მოთხოვნებს, ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. სრულიად დაცულია უსაფრთხოების, სანიტარულ - ჰიგიენური და სხვა ტექნიკური ნორმები.

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. ძირითადი ლიტერატურა წარმოდგენილია ელექტრონულად სახელმძღვანელოების, საკითხავი მასალის კრებულების, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურის სახით. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით:EBSCO, HeinOnline,

Elsevier, Scopis, ScienceDirect, ScivalRunding.უზრუნველყოფილია ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა, უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ელექტრონული რესურსებისა და ბიბლიოთეკის ონლაინ-დათვალიერება;
- საერთაშორისო საბიბლიოთეკო და აკადემიური ბაზები;
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი;
- უსდ-ის ვებგვერდი;
- შენობა-ნაგებობების მფლობელობაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სილაბუსებში დასახელებული ძირითადი ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდში არსებობა;
- თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები;
- ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან ინტერვიუსა და სისტემის დემონსტრირების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტი დეტალურია, ნათლად არის წარმოდგენილი ხარჯვითი ნაწილი, დამაკმაყოფილებია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი არის სასწავლო უნივერსიტეტი, ბიუჯეტში გათვალისწინებულია კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი აქტივობები, რაც ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროსაც აღინიშნა. უსდ-ს წარმომადგენლების თქმით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მიხედვით, კვლევის მიმართულებით განვითარებას გეგმავენ. ბიუჯეტის დაგეგმარება მიმართულია პროგრამის მატერიალურ ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, საერთაშორისო

ელექტრონული რესურსების წვდომის უზრუნველყოფაზე, პერსონალის ანაზღაურებასა და მივლინებაზე, კვლევითი საქმიანობის და სამეცნიერო ხასიათის ნაშრომების შესრულების ხელშეწყობაზე. პროგრამის ფინანსურ მდგრადობას უზრუნველყოფს უსდ-ისა და ფაკულტეტის მიერ განხორციელებული საგანამანათლებლო და სხვა საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, ასევე, ცალკეული ადგილობრივი თუ უცხოური დონორებისგან მიღებული მიზნობრივი გრანტები (მათ შორის, მიმართული ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებასა და ა. შ.).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • უსდ-ის ბიუჯეტი; • პროგრამის ბიუჯეტი; • უსდ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთანინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა განხორციელდება შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმების გამოყენებით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და იყენებს ამ სამსახურის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

უსდ-ის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია ეფუძნება უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპს, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო, კვლევითი და ადმინისტრაციული რესურსების მუდმივ შეფასებას და გაუმჯობესების გზების დასახვას და ითვალისწინებს კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო რესურსების (input), პროცესისა და შედეგების (output) შეფასების ინდიკატორების იდენტიფიცირებას. ხარისხის უზრუნველყოფის ციკლური პარადიგმა ვრცელდება სწავლა-სწავლებაზე, კვლევასა და მართვაზე.

უსდ-ში სისტემატიზირებულია სტანდარტების ეფექტური შესრულების პროცედურები, რომლებიც რეგულარულად ხორციელდება. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები და პროცედურები ეფექტურად არის დაგეგმილი, როგორც გამოყენებული რესურსების, ასევე დახარჯული დროის თვალსაზრისით.

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში დადგენილია პროგრამის შემუშავებისა და შეფასების მექანიზმი, რომელიც ორიენტირებულია პროგრამის მუდმივ მონიტორინგზე მისი შემდგომი გაუმჯობესების, სტუდენტთა საჭიროებებსა და დასაქმების ბაზრის ცვალებად მოთხოვნებზე მორგებისა და ამით კურსდამთავრებულის კონკურენტულობის მაჩვენებლის ზრდაზე. ამ თვალსაზრისით პროგრამის პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში დადგენილია პროგრამის შემუშავებისა და შეფასების მექანიზმი, რომელიც ორიენტირებულია პროგრამის მუდმივ მონიტორინგზე მისი შემდგომი გაუმჯობესების, სტუდენტთა საჭიროებებსა და დასაქმების ბაზრის ცვალებად მოთხოვნებზე მორგებისა და ამით კურსდამთავრებულის კონკურენტულობის მაჩვენებლის ზრდაზე. ამ თვალსაზრისით პროგრამის პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

უნივერსიტეტის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით ხდება პროგრამისა და სასწავლო კურსების დონეზე არსებულ მონაცემთა (მათ შორის სასწავლო კურსების კურატორების გამოკითხვის მონაცემებს) შეგროვება, და მუშავებასა და პროცენტული განაწილების შესწავლა, რითაც დგინდება სასწავლო კურსის სიმარტივე/სირთულის, თემატიკის რელევანტურობა/არარელევანტურობის, ლექტორის მიერ გამოყენებული შეფასების ფორმების ადეკვატურობა/არაადეკვატურობის ხარისხი და სტუდენტთა მომზადების დონე.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ახალია, მას ჯერჯერობით სტუდენტი არ ჰყოლია და სასწავლო პროგრამა ჯერ არ განხორციელებულა. პროგრამის შემუშავების პროცესში, პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე, უნივერსიტეტის შიდა ხარისხის მართვის სამსახური ერთობლივად იყო ჩართული განსახორციელებელი აქტივობების შემუშავებაში.

პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდა თვითშეფასების ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებისგან. გამოვლენილი შედეგების მიხედვით დაიწყო პროგრამის მოდიფიცირება.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან და იღებს მისგან საჭირო კონსულტაციას. დეპარტამენტი რეკომენდაციებით მიმართავს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს, როდესაც შეფასების შედეგები საჭიროებს კონკრეტული აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას პროგრამის ხარისხის ამაღლების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ატარებს სტუდენტების წლიურ გამოკითხვას (სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას) და სხვადასხვა ჯგუფთან შეხვედრებს, რომლებიც ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამების და მისი ეფექტური განხორციელებისათვის აუცილებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პროცესების გაუმჯობესებას.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი კოორდინირებას უწევს და ზრუნავს თვითშეფასების პროცესის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე, რაშიც აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- სტუდენტთა გამოკითხვის ფორმა და შედეგები;
- პროგრამასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები;
- ხარისხის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციასთან და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა ახალია. მისი გარე შეფასება მოხდა 2019 წლის აგვისტოში სლოვაკეთის კატოლიკური უნივერსიტეტის ფსიქოლოგის დეპარტამენტის პროფეოსრის რობერტ დურკის მიერ (Róbert Ďurka, PhD. Department of Psychology, Faculty of Artsand Letters Catholic University in Ružomberok Ružomberok, Slovakia. robert.durka@ku.sk), რომლის რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამაში შესულია შემდეგი ცვლილებები:

- ✓ პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს უნივერსიტეტის, აკადემიურ პერსონალს და მას გააჩნია დოქტორის ხარისხი ფსიქოლოგიაში
- ✓ მოხდა პროგრამის არჩევითი კურსების რევიზია;
- ✓ სწავლების რესურსების მიმართულებით ჩამოყალიბდა სასწავლო ლიტერატურა;
- ✓ მოხდა შეთანხმება რიგ პოტენციურ დამსაქმებელთან და პრაქტიკის ობიექტთან პროგრამის ფარგლებში, რომლებთანაც გაფორმდა ურთიერთთანმშრომლობის მემორანდუმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გარე ხარისხის შეფასების დოკუმენტი;
- გარე ხარისხის შეფასების საპასუხოდ განხორციელებული ცვლილებები;
- ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- ხარისხის სამსახურის უფროსთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური

შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ახალია, უკვე განხორციელებულ ღონისძებებზე საუბარი შეუძლებელია, თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები, რომელთა განხორციელებაშიც ჩართულები არიან სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი. დარგის განვითარების, შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის, ბაზრისა და კანონმდებლობის მოთხოვნებთან ერთად საგანმანათლებლო პროგრამა პერიოდულად განიცდის შესაბამის ცვლილებებს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი სისტემატური კონტროლისა და რეკომენდაციების მიცემით ახორციელებს პროგრამების ხარისხის თანდათანობით გაუმჯობესებას და მათ თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოვებას. პროგრამული შეფასებით ირკვევა: პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, ხორციელდება თუ არა პროგრამა ისე, როგორც დაგეგმილი იყო; რა ზომებია მისაღები სტანდარტების შესასრულებლად და პროგრამის გასაუმჯობესებლად. პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი პერსონალი აკვირდებიან საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების მიზნებისა და სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევის პროცესს წინასწარ განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების მიხედვით. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით იგეგმება საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების შემდგომი განვითარება. თითოეული სემესტრის დასასრულს სტუდენტები აფასებენ სასწავლო კურსებსა და ლექტორებს. ასევე, ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ახორციელებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს, რომლის შედეგების დამუშავება ხდება სასწავლო კურსების, ლექტორების, სკოლების მიხედვით. სკოლების მიხედვით წარმოდგენილ მონაცემებს განიხილავს სკოლის საბჭო, ხოლო საუნივერსიტეტო მასშტაბით გამოვლენილ ვითარებას -- მმართველი საბჭო. შეფასების შედეგებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია საგანმანათლებლო პროგრამების და აკადემიური პროცესის გაუმჯობესებისთვის იყენებს. უნივერსიტეტში ხორციელდება სტუდენტების წლიური გამოკითხვა, რომლის საშუალებით სტუდენტები აფასებენ სერვისებს, რომელსაც იღებენ უნივერსიტეტში: საბიბლიოთეკო, საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა მომსახურებასთან, ასევე სტუდენტურ ცხოვრებასთან დაკავშირებით. დამკვიდრებულია პროგრამის უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან დადარების პრაქტიკა, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;

• სტუდენტთა გამოკითხვის ფორმა; • კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმა; • დამსაქმებლის გამოკითხვის ფორმა; • მომიჯნავე სპეციალობის კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 33

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ლილი ხეჩუაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ეკატერინე ფირცხალავა



სალომე წულიკიძე